2 (18) იანვარი 1869. № 1. მეოთხე წელიწადი.

დროება

ГАЗЕТА „ВРЕМЯ“.

გაზეთის ფასი.

Გაგზავნით ტფილისში
და გარეშე ადგილებში: — Გაუგზავნელათ:
Ერთის წლისა — 7 მან. — — — 6 მან,
ნახევარის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელმოწერის მიღება:

ტფილისში [illegible] რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. [illegible] ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.
ტფილისის გარეშე [illegible] ის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи г[illegible] газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში [illegible]ღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

განცხადება.

გაზეთის „დროების“ გამოცემაზე 1869 წელში.

1869 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამმით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა და იმავე რედაქტორის და გამომცემელის ხელში.

ხელმოსაწერი ფასი:

Გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში	Გაუგზავნელათ
ერთის წლისა	7 მანეთი — 6 მანეთი.
ნახევარის წლისა.	4— — —3—50 კაპ.
სამის თვისა	2—50 კ.—2—

„დროება“ 1869 წელს გამოვა კვირაში ერთხელ ხუთშაბათობით.

მომავალ წლის „დროების“ პირველ ნომრებიდგან დაიწყება ბეჭდვა სტატიისა: **საქართველო,** ისტორიული მიმოხილვა, დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს ა. აგრეთვე დაიბეჭდება სხვა და სხვა მოკლე ისტორიული და გეოგრაფი სტატიები, რომელნიც შეეხებიან განსაკუთრებით ჩვენს მხარეზე.

ამას გარდა მომავალ წლის „დროების“ ხელის მომწერლებს, უფასოთ, დაურიგდებათ **კავკასიის აქეთი მხრის კარტა.**

ხელიმოწერება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-°.

შინაარსი:

მმართებლობის განკარგულება.—ტფილისი, 2 იანვარს.—განცხადება ქუთაისში საადვოკატო კანტორის გაღებაზე.—„დროების“ კორრესპოდენცია.—ტელეგრამმები. პოლიტიკა.—ინგლისი.—საბერძნეთი.—ოსმალეთი. საქართველო (ისტორიული მიმოხილვა).—ახალი ტელეგრამმები.—წიგნი რედაქტორთან.—ქერძოობითი განცხადება.

მმართებლობის განკარგულება.

ბრძანება

კავკასიის ნამესტნიკის გასამგებლოში, დეკემბრის 29-სა 1868 წელსა ტფილისში. (გამოკრება)

ხელმწიფე იმპერატორმა, ჩემის შუამდგომლობით და ღირს ყოფით კავკასიის კომიტეტისა ამ დეკემბრის 26-სა დღესა, უმაღლესათ ინება ბოძება ქვემოხსენებულთა პირთა, უკეთეს და ერთგულის სამსახურისათვის შემდეგის ჯილდოებითა: ორდენებითა: წმ სტანისლავის პირველი ხარისხისა: სამოქალაქო უწყებაში სამკურნალოს ნაწილის გამგებელს სტატსკი სოვეტნიკს სობოლშჩიკოვს, სახელმწიფო ქონების სამართველოს ნაჩალნიკის თანაშემწეს, ბენერალ-მაიორს მურავიოვს, ერევნის ვიცე-გუბერნატორს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ბუჩენს, და ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების გამგებელს, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ძუბენკოს, — წმ. ელადიმირის 3 ხარისხისა: კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზის გამგებელს ბოლდანოვ-ქალინსკისა და ტფილისის ვიც-გუბერნატორს მიცულოვს და უუბანის მაზრის სასწავლებლების დირექტორს, ტერზიევს და საკუთარ მინდობილების ჩინოვნიკს კავკასიის ნამესტნიკთან ქოძიკოვს. წმ. ანნისა 2 ხარისხისა იმპერატორის გვირგვინითა: ფოთის კარანტინ-დამოჟნის კანტორის გამგებელს ტიმოთერევს, სიღნაღის უეზდის სასწავლებლის საპატიო ზედამხედველ, მირზოევს. ანნისა 2 ხარისხისა: სეკრეტარს უცხო-საქვეყნო მიწერ-მოწერისათვის და საიდუმლო ნაწილისათვის კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესი გასამგებლოს ნაჩალნიკის კანცელარიისა რობოროვსკის და მუშაობის ინსპეკტორს ვინჩის; კავკასიის ნამესტნიკის საკუთარ მინდობილების ჩინოვნიკს მელიქ-ბეგლიაროვს, ტფილისის დასაწყობ დამოჟნის მწვერს პრიბილს; საქმის მწარმოებელს სახელმწიფო ქონების გასამგებლოისა სიტოვსკის, ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს სოვეტნიკს ტოპოლსკის. — წმ. სტანისლავისა 2 ხარისხისა ხელმწიფის გვირგვინითა: საქმის მწარმოებელს მწვერს ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმის პრისუტსტვიისა ლიუბომირსკის; უმთავრეს დოქტორს ტფილისის ქალაქის ლოშპიტლისა ბორალევიჩს; ოემირხანშურის პოლიცმეისტერს ჩაჩიკოვს და ხაზინადარს კავკასიის აქეთა საგუბერნიო ხაზინისას, ბეგხანოვს, კავკასიის ნამესტნიკის გასამგებლოს ნაჩალნიკის საკუთარ მინდობილების ჩინოვნიკს ფონ-დერ-ბროუგენს, ალექსანდროვის მასწავლებელთ შკოლის დირექტორს ზახაროვს, მთის ინჟინერს პილენკოს, ტფილისის უფროსის პოლიცმეისტრის კანცელარიის მმართველს სტაერენკოს, და საქმის მწარმოებელს სახელმწიფო ქონების გასამგებლოისი, ბოლოვკინს. — წმ. სტანისლავისა 2 ხარისხისა: საქმის მწარმოებელს კავკასიის ნამესტნიკის უმთავრეს გასამგებლოს დეპარტამენტისას ტარსაიძეს: ტფილისის გუბერნიის ექიმის თანმმდებობის აღმასრულებელს ქარპოვიჩს; ტფილისის სამუშაო საქმეთ ნაჩალნიკს დომონტოვიჩს; ფოთის კარანტინო-დამოჟნის კონტორის წევრს ტერ-შმოვანსკს; საქმის მწარმოებელს და ბუხგალტერს ტფილისის სამსჯავრო პალატისას, მელიქოვს; კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზის დირექტორს მარკოზოვს, უმცროსს პოლიცმეისტერს ტფილისის 1 განყოფილებისას, ნაუმენკოს, ტფილისის გუბერნიის არსიტექტორის თანაშემწეს, აბესალომოვს; ტფილისის საწყობ დამოჟნის ხაზინადარს თავადს ბარათაშვილს და ტფილისის გუბერნიაში მუშაობის მწარმოებელს არხიტექტორს ნაუმენკოს ქუთაისის პოლიცმეისტერს ბრაფს სიმონიჩს; აგრინოვს სახელმწიფო ქონების გასამგებლოსას სპასსკი კავკასიის ხაზინის პალატის განყოფილების ნაჩალნიკს თანამდებობის აღმასრულებელს ტერასტევაწატეროვს.

ტ ფ ი ლ ი ს ი, 2 ი ა ნ ვ ა რ ს.

ამ ახალ წელიწადს ვიწყებთ საამურის ამბით: დიდი მთავარი ნამესტნიკის ბრძანებით რომ კომისია იყო შემდგარი ობილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკის წესდების განსახილველად, იმან წარსულს შაბათს, 21 დეკემბერს, გაათავა განხილვა წესდებისა და წარუდგინა მთავრობას. როგორც გავიგეთ, ვითომც არა ფერი ცელილება არ მოუხდენია კომისიას წესდებაში. მაშასადამე იმედია, რომ ეს საქმე არ დაგვიანდება და ამ წლიდგან ბანკი დაფუძნდება.

განცხადება

ვაცნობებთ იმა პირთა, რომელთაც აქვსთ, ანუ ექნებათ, საქმეები ქუთაისის გუბერნიის მომრიგებელ სასამართლოებში, ანუ თვით ქუთაისის ოლქის სასამართლოში (ოკრუჟნოის სუდში), რომ ჩვენ ეღებთ ჩვენს თავზედ საქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებსა და ამ საქმეების ზემოხსენებულ სასამართლოებში დაცვასა.—ადრესი: ქ. ქუთაისს ორპირის ქუჩა, სახლი უფ. ალექსი ლოლობერისისა.

ლუარსაბ ლოლუა.
დავით აბდუშელიშვილი.

„დროების“ კორრესპოდენცია

ოზურგეთში. ახალი წელიწადი. მომილოცავს, მკითხველო, ახალი წელიწადი. ღმერთმან მრავალი მომავალი გაგითენოს [illegible] მასთან ყოველი სასიამოვნო [illegible]ილი შესახებ კარგის აზრისა ნუ მოგაკლოსთ; მე მსურს, მკითხველო, ჩვენის მდაბალის ხალხის ჩვეულება ახალს წელს გიამბოთ. ოთხს დეკემბერს ვიცით, რომ არის შობის მარხვის საშუალი დღე და წმინდა ბარბარეს დღეობა; ეს დღე აქვსთ დანიშნული აქაურს ხალხს; ამ დღეს დაიწყება ყოველ გლეხ-კაცის სახლში ძარები. ამ ძარს უწოდებენ სახელად (სასუქს), რომელშიაც ჩაჰყრიან ქათმებს, იხვებს, ბატებს და ინდაურებს იმოდენს, რამოდენი ადამიანიც ოჯახშია. ამ სახით ყოველს ქათამს და ინდაურს თავის სახელი ჰქვია. მოხარშული სიმინდის საკენკი და წყალი ახალწლის წინადღემდის წინუდგას. ამას გარდა ისეთი უკანასკნელი გლეხი არ შეიძლება, იყოს, რომ ერთი ღორი მაინც არ ჩააბას გასასუქებლად იმ ოთხს დეკემბერს, და თუ ცოტა შემძლე კომლია, ორს და სამს ღორსაც კი გაასუქებს; იმ ქათმებს და ღორს ეძახიან აქ საკალენდო (*) სასუქს, ანუ ძალად გასუქებულს; ის დეკემბერი მიეწევის უკანასკნელს დღეზედ, და გასუქებულებიც სრულიად იმავ დღესვე დაიკვლება; ხოლო იმა ღამეს მამაკაცები ილოცვენ ღორის წერილმანს ასოებზე, და ქალები ქათმის თავ-ფეხ კუჭ-ფილტვზე; იმ ღამეს სანთლის დანთების ღამეს ეძახიან შინაურულად, ხოლო სასოფლოდ ეძახიან რცხემლის ჭრას, რადგანაც მართლა იმ დღეს რცხემლის შეშის მეტს ხალხი არას მოსჭრის და ახალწელიწადს იმ ხსენებულ რცხემლის შეშის მეტს არას ხმაროებენ, იმ აზრით, ვითომ წმინდა ბასილსაც ეხმაროს ის ხე ახალწელიწადს ღორის კურთხევის დროს. რა რომ ვახშამს დაასრულებენ, ერთი მამაკაცთაგანი გამოდის გარეთ და შეუდგება (**) ჩიჩილაკის კეთებასა და თლასა და მინამ ალიონი მოატანს, მანამ იმ ჩიჩილაკის ჩამოთლას უნდება; მაგრამ როგორ მორთული იქმნება ეს ჩიჩილაკი, ისიც მოიხსენეთ მკითხველნო; იმაზედ იქმნებიან დაკიდებულნი, რაც შეძლება აქვს იმის პატრონს, ოქრო ან ვერცხლი, ან რომელიმე ნივთეულობა, ან რამე ტკბილი შაქარლამები, ან რაც რამ გვარის ხილოულობას იშოვნის; მასთან სუროს ფოთელი თავის მარცვლებით და ეკლის წითელ წითელ მარცვლები, რომელსაც აქ ეძახიან (კურკანტელას) და რა რომ ალიონი ამოვა, მამაკაციც მოათავებს ჩიჩილაკის წყობას და რთვას, გამოვა გარეთ ამ ჩიჩილაკით, თან მიჰყვება ერთი, ანუ ორი ბიჭი თუ კი შეძლებული კაცია. ამას მიაქვს ღვინო, ღომი და ღორის თავი. ესენი მიაქვთ და მიადგებიან თავის სახლის კარებს, რომელშიაც კარზედ ვინმე იდგება და ამას სახლის კარები ხელით აქვს დაჭერილი. მამაკაცი გარედამ შესძახებს დიდის სიამოვნების ხმით „კარი გამიღე! სახლიდამ ეპასუხებიან“ რა მოგაქვს?“ — მამაკაცი“ მობრძანდება წმინდა ბასილ, მას მოაქვს ღვთისა და ბატონის მოწყალება, კაცთა მშვიდობა, ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, პური და ღვინო, ბედაური ცხენი რახტით შეკმაზული, ყირიმის თოფი, ინგლისის ფისტო (დამბაჩა), მოჭედილი სატევარი“ (ხანჯალი) და ყაჭ-აბრეშუმი;“ რა რომ ამ ლოცვას დაასრულებს, კიდევ შესძახებს :„კარი გამიღე!“ და კვალადვე პირველისა მებრ მიიღებს პასუხს; რაღა დიდი გავაგრძელო, სამის გზის დალოცვის შემდეგ გაუღებენ კარებს და კარზედ მდგომი შესცინებს: ხა! ხა! ხა! და ეს კაციც თავისი ჩიჩილაკითა და მხლების თან მიყოლით შედის სახლში; დაიწყებს ლოცვას მარჯვენიდამ და მიჰყვება; იქ არიან შეკრებილნი დამდგარი ყველა იმ სახლშივე მყოფნი კაცნი და ქალნი. ყველას უჭირავს მოკიდებული ხელში თაფლის სანთლები. ეს კაცი თითოეულს იქ მდგომს ულოცავს: „ღმერთმან მრავალი ახალი წელიწადი გაგითენოსო“ და ისინიც მიუგებენ: „შენც მრავალი ეს დღე გაგითენოსო“ და ჩიჩილაკის მორთულობას ხელით უნდა შეეხონ. მამა-კაცი სამ გზას ჩამოატარებს ამ ჩიჩილაკს და შემდეგ სახლის ერთს კუთხეში ჩამოჰკიდებს ნათლის ღების დილამდის და იმ დილას კი გამოიტანენ გარეთ და მოაცლიან მის შემკულობას. ახლა დაუბრუნდეთ იმას, თუ შემდეგ ჩიჩილაკის დაკიდებისა მამა-კაცი რას აკეთებს თავის სახლში; ის გამოდის და თან გამოჰყვება, თუ

(*) ქალენდას ახალწელიწადს ეძახის სოფლის ხალხი.

(**) ჩიჩილაკი არის თხილის ჯოხიდამ შემდგარი ნათალი ფუჩეჩი ჩამოკიდებული; იმაზედვე ჩიჩილაკს სიგრძე ექმნება ორი საჟენი და სიმსხო ერთი არშინი.

კი ვინმე ჰყავს ძმა, ან შვილი ისეთი, რომ თოფის სროლა შეუძლიან. ისინი თან გამოიტანენ თოფებს და დამბაჩებს, აანთებენ წმინდა სანთლებს, რამდენიც თოფი აქვსთ და მიანთებენ ხეზე და ასი ნაბიჯის მანძილზე ესვრიან თოფებს და იმ სანთელს გააქრობენ ტყვიის მორტყმით. იმ ბნელში იქმნება მოხდეს ისრეთი მაგალითი, რომ ვინმე დააცილოს თოფის ტყვია სანთელსა; ის კაცი მეორე ახალ წლის მოსელამდის თოფს ხელს აღარ მოჰკიდებს, რადგანაც ახალ წლის პირველს საათს გაუწბილდა სროლა. მერმე რასაკვირველია წირვისათვის ყველანი მიდიან ეკკლესიაში. წირვაც ადრე იციან მღვდლებმა იმ დღეს, იქაც მოგროვებული სოფლის ხალხი ჩაემწკრივებიან ორ კეცათ ეკკლესიის გალავანზედ, დაიმზადებენ თოფებსა, და დამბაჩებსა, დაიწყებენ სროლას ყოველი თითეული მათგანი სამ-სამჯერ; მაგრამ თუმცა ეკკლესიას ახლოს მეორე ეკკლესია არის, ერთი მეორის თოფის ხმა ისმის, რომელიც ამტკიცებს, რომ წირვაც ერთ დროს დასრულებულა. ამ შემთხვევაში კი მომატებულს გაისერიან ხოლმე, ამისთვის რომ შეებაძეანენ ერთი ეკკლესიის და მეორე ეკკლესიისანი, და თუ რომელმამე ნაკლები გაისროლა სათაკილოთ მიაჩნიათ იმ დღის ჯობნება, რადგანაც ბედნიერი დღე არის მათის აზრით: თოფის სროლის შემდეგ მიულოცავენ ერთი ერთმანერთს კოცნით; შემდეგ წაელენ თავიანთ სახლებში, დასხდებიან პურის საჭმელად, სადაც მოერთმევათ ზემორე მოხსენებული გასუქებულები ღორისა და ქათმისა; ღვინო რომ სულ ცვარიც არ მოსელოდეს მრთელს მის მამულზედ, იმ დღისათვის მაინც აქვს თეთრი ღვინო, როგორც რომ ოტკა ისე მცხარე და თეთრი. სიცოცხლე გაქვს მოსდგება სმასა და მასთან ლოცვას პირველ მეგატონისა და მერმეთ თავის სახლისას, იმ დღეს მდაბალს ხალხში სტუმარის ყოლა შეუძლებელია და მეორე დღესაც დიდათ თაკილობენ კაცის წვევას და თუ ეწვევა მაინც-დამაინც ის მწვეველი უნდა იყოს კარგი ყოჩაღი, ყმაწვილი ბიჭი, მისთვის რომ ის არის, იმ წლის ბედნიერება და უბედურობა მაშინ იწყება და თუ ავი ფეხისა შეხვდათ ვინმე, ვითომ მრთელს წელიწადს ავის მეტი არა მოუათ რა. ახალ წლის მეორე დღეს ეძახიან „ქათმის ფერხვას“ ესე იგი ქათმის ლოცვას, ხოლო მესამე დღეს შეუძლიათ მეზობლობაში მისვლა-მოსვლა. იქნება ვინმე ჰკითხოს, ამდენს ხარჯს რათ აძლევთ თქვენს სახლებსაო“; ისინი ასე ეტყვიან: ძმიავ?! რა მითხარი შენ?! რავა! მამის და ბაბუის დატოვებულის ჩვეულების აღსრულებას თუ კი მაღალი ღმერთი არ დამიშლის! მე რავა ღმერთი გამიწყრება და რავა (*) ყურშუმი მომხვეთება, რომ ჩემით მოვიშალო! მაშინ მოგიკვდი კილავ! შენი გაბელიკაი! ვაი! წაეხთი, რავა მითხარი მაგი ძმიავ! „აბა მეტს რაღას ხედავ და ან რაღა მაქვს ძველებური სიცოცხეილ ნამუსისა, ბიძაე!“ მამაი და ბაბუაი თურმე ულვაშზედ რომ ხელს დაიდებდენ და იტყოდენ ამას ენდეეიო“. ორ ა ს და სამ ას ძველ (**) მარჩილს სიტყვით ენდობოდნენ!„ და ჩვენ ახლა სუდში დამტკიცებული ვექსილი თუ არ მიეეცით ორ შაურსაც აღარავინ გვასესხებსო!“ ძმიავ იცი?!! ამ ერთს დღეს წელიწადში მაინც არ მოვიშლით ჩვენის ძველის დატოვებულს ჩვეულებას. აი ყველანი ამას გიპასუხებენ, რომ ჰკითხოთ შესახებ ახალის წლის დღისა. ეს ზემოთ განცხადებული ჩვეულება მთავარს გურიელსაც სცოდნია თავის სასახლეში, მაგრამ ისრე კი არა, როგორც ზემოთა ვსთქვი. არა! ბურიელს მამიას და მის ძველებს სცოდნია გალოცვა შემდეგ წირვისა, რასაკვირველია მაშინ მღვდელ

(*) ყურშუმი — თათრულათ ტყვიასა ჰქვიან.

(**) მარჩილი თითქმის მანეთის ოდენია.

მთავრად იყენენ ბურიაში და ყოველთვის მღვდელ-მთავარი ეყოლებოდა გამლოცავათ მთავარს ურიელს, რომელსაც მიჰყვებოდა არხიმანდრიტები, მგალობლები და მღვდლები; იქ მართლ თვითონ წმინდა ბასილის ხატიც იყო და ყველი ძვირფასი ნიეთები ეკლესიის ლანგრებ[illegible] დაყრილი; რა საკვირველია ხატები, ჯვარი და ჩიჩილაკიც იყო, სამხ დრო ბაირალიც [illegible] ყო და ის მღვდელ-მთავარი თვითონ მიიყოლებდა ამათ და ზედ მთავრის კარებზედ მიადგებოდ[illegible] დიდის ანბით და გალობით ერთი საკეკხურის კვევით, და შესძახებდა „მთავარო გურიელო აარი გაგვიღეო“ თვითონ გურიელი კარზედ იდგა შიგნითა და მისნი დარბაისელნი რიგ რიგათ იყენენ დამდგარნი ზალაში, დიდის ლოცვის შემდეგ გაუღებდა კარებს და სამ გზის შემოიცვლიდა მღვდელ-მთავარი დაშემდეგ გაბრუნდებოდა; იმა დროს ყველანი ულოცავდენ მთავარს ბედნიერ დღეს, და მასთან რომელიმე კარგი მხედართაგანი დარბაისელი ჩართმევდა მთავარს ტყვიას ამ ლექსით „ბატონო გურიელო თქვენი ორგულის გულზედ იყოსო „ეს ტყვიაო“ და ამ დროს დაიწყებდნენ (შელულსა) სროლას ზარბაზნისა და თოფებისას. ეს ჩვეულება ცოტა ახლაც იციან, მაგრამ ძლიერ შემოკლებით. მე უკაცრავათ ვარ, რომ შესახებ ჩიჩილაკისა განმარტებას ვერას ვსწერ, მკითხველო, მაგრამ მომიტევეთ, რადგანაც მეც არ ვიცი, მხოლოდ ჩვენი ხალხის აზრით წმინდა ბასილეს წვერს ნიშნავს.

ბურული, ო... ბერიძე.

ᲘᲒ დეკემბერს
ᲩᲧᲐᲒ-სა წელსა.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ.

(პეტერბურღში მიღებული)

1) **ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘ**, დეკემბრის 6-სა. საბერძნეთის ელჩმა სთხოვა სამს მფარველთ სახელმწიფოთა ელჩებს რუსეთისას, ანგლიისას და ფრანციისას, რომ იმათ მიიღონ მფარველობა ბერძნებზე, რომელნიც დარჩებიან ოსმალეთში იმის შემდეგ. ფრანციის ელჩმა, უფ. ბურრემ არ მიიღო ეს თხოვნა. ოსმალეთის მმართემლობამ გაგზავნა ბძანება რუმინიისა და სერბიის მმართებლობაებთანა, რომ იმათ გაყაროონ თავიანთის სამძღვრებიდგან ბერძნები. ეს საქმე ძალიან აბრკოლებთ უცხო სახელმწიფოთა წარმომდგენელთ, და აგრეთვე მოვაჭრე საზოგადოებათა.

2) **ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘ**, დეკემბრის 7-სა. ოსმალეთმა გამოუგზავნა რუმინიის მმართებლობას მოწვევა, რომ ბერძნები გამოჰყაროონ რუმინიის სამძღვრებიდგან. რუმინიის მმა[illegible]ბლობამ მიიღო მხედველობაში თავისი უფლება და უარ ჰყო ამ მიწვევასა. ბარეშე სახელმწიფოთა კონსულები აპირობენ გაამართლონ თავიანთ მმართებლობათა წინაშე ამ გვარი განკარგულება რუმინიის კაბინეთისა.

ᲕᲔᲜᲐ, დეკემბრის 6-სა. საბერძნეთის ცეცხლის გემი „ᲔᲜᲝᲖᲘᲡᲘ“, რომელსაც სდევენ ოსმალეთის გემები, შეეფარა სირის გავანში, საცა შემორტყმიან გარსა და ეომებიან. დეკემბრის 8-სა. ოსმალეთს მოეწონა მოქმედება ზობართ ფაშისა სირის გავანში.

ელჩებმა ანგლიისამ, ფრანციისამ და ავსტრიისამ უარ ჰყვეს საბერძნეთის ელჩის თხოვნაა, რომ იმათ მიელოთ თავიანთ მფარველობას ქვეშ ოსმალეთიდგან გამოყრილი ბერძნები.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8-ს დეკემბერსა. ბაზეთს Partieში სწერენ, რომ ჯერ ოსმალეთს არ გამოუცხადებია, საბერძნეთისათვის ომიო.

ამავე გაზეთში არის, რომ ოსმალეთი აპირობს წარმოუდგინოს სახელმწიფოებს დოკუმენტები, რომელთაგანაც აღმოჩნდება, რომ საბერძნეთსა ჰსურს დაიჭიროს მთელი ოსმალეთის კუნძულები.

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ, დეკემბრის 7-სა. ᲙᲝᲠᲢᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲐ ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ. მადრიდში ამორჩეული დეპუტატები უფრო მომატებული ნაწილი მონარხიული პარტიისანი არიან.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, დეკემბრის 7-ს. (ატლანტიდის ტელეგრაფით), ვაშინგტონის სენატმა დამტკიცა ის რეზოლუცია, რომელშიაც გამოთქმულია თანამგრძნობელობა ისპანიის ხალხთან, რომ იმათ მოუწადინებიათ დამყარონ თავისუფლების დამყარებელ მმართებლობა; ამასთან სთხოვენ, რომ ისპანიის საპყრობილეში მოკვეთონ მონაობა ნეგრები.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.

ᲐᲜᲒᲚᲘᲐ.

უფ. ᲑᲚᲐᲓᲡᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ. ლონდონის კორრესპონდენტი სწერს Temps.-ში, დეკემბრის 12-დგან: „რასაკვირველია თქვენ გაგიკვირდებოდათ, რომ უფ. ბლადსტონის სამინისტროში უფრო არისტოკრატია. რჩევაში თავს მჯდომარედ არის გრაფი ბრეი, საიდუმლო რჩევის ბეჭედი აქვს მინდობილი გრაფს ქემბერლეის; გარეშე ქვეყნების საქმის სამინისტრო მისცეს გრაფს ქლარენდონს; კალონიებისა — გრაფს ბრენვილს; ფოჩტების სამინისტრო — მარკიზს ბარდინგტონს; განგება ინდოეთის საქმეებისა აქვს მინდობილი გრაფს ᲐᲠᲒᲐᲘᲚᲡ, ერთის სიტყვით ეს არის წმინდად ლორდების კაბინეთი. სწორეთ რომ ვსთქვა, ძნელი წარმოსადგენია უფ. ბრაიტი ამ არისტოკრატიულს საზოგადოებას შუა. დემოკრატულის გრძნობით ხომ არ დასჯერდა ამ მცირე თანამდებობას — სავაჭრო ბუროს თავს მჯდომარეობას? თუ მართლად ხალხმა აიწია ბრაიტი, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ხალხის წარმომდგენი დასჯერებია ძალიან მცირედსა. რაღა იქნენ, იკითხავთ, უფ. სტანსველდი, უფ. ფორსტერი? შორს არ ვიტყვით, გუშინ ამაოდ ეძებდნენ იმათ სახელებს ახალი მინისტრების სიაში და ყველა უცებ ჰკითხავდა თავისთვის: ხომ არ დახოცილ ნო? დამშვიდდით, ჯერ არა. უფ. ფორსტერი რჩევაშია ვიცე პრეზიდენტის ხარისხით, სახელმწიფო ბეჭედი იქნება გრაფი ბრეის ხელში. უფ. სტანფელდს მისცეს სრულებით ახალი თანამდებობა — მესამე ლორდობა ხაზინისა. ეს ამიტომ უფრო არის გასაკვირველი, რომ უფ. ფორსტერი და სტანსფელდი არ არიან მცირედის ნიჭისანი, ვიდრე სამნი მაღალნი პირნი, რომელნიც დანიშნეს სახელმწიფოს სეკრეტრებათ. მაგრამ იმ გვარ მხარეში, როგორც არის ანგლია, უწესურობა ძალიან გამძლე არის. უფ. სტანსფელდი არ არის ვიგი, არც უფ. ფორსტერი, მაგრამ ახლა ჩვენ მივქროლავთ სრულებით ვიგების ხომალდებზედ. ჩვენ სრულებით არა ვძრახავთ რომ უფ. ბლადსტონს ცუდი რამ განზრახვა ჰქონდეს; ჩვენა გვგონია, რომ ისიც შეცდენილი იყო მოხერხებულობითა რომელსაც ანგლიაში ძალიანა სწყალობენ. ის უთუოდ იმ განზრახვით იყო, რომ სამინისტროსათვის საჭირო არის მოსარჩლობა ლორდების პალატისაო, საიდგანაც მოელიან დიდს დაბრკოლებასა ირლანდიის საქმეში. ამასთან უკანასკნელმა ამორჩევამ გვაჩვენა, რომ ახლა აღარა სწყალობენ აღარც დაბალს ხალხს და არც რადიკალებსა. ვიდრე გამდიდრებულთ ფაბრიკანტებს, ბამბის მეიდნის ლორდებს და შუათანა საზოგადოებას ჰქონდათ საქმე მხოლოდ არისტოკრატებთან, მანამ საქმე მიდიოდა მძიმედ, მაგრამ ამათ სასარგებლოდ. მაგრამ როცა რეფორმატის ბილლმა ახარა ხალხის მეფობის მოახლოვება, მაშინ ძალიან აირივნენ და ბევრმაც გულგაგრილებით დაანება თავი საქმესა. ვინც თავიზედ ორი ლაჯის მანძილზე ვერაფერს ვერა ხედავდა და გულადად კი მიიწევდა წინ, ის მერე დადგა, მოიხედა უკან და დაინახა ხალხის გროვა. მართალია, თუმცა ეს ხალხის გროვა ჯერ იმისაგან შორს იყო, მაგრამ ნათქვამია შიშს დიდრონი თვალები აქვსო და ისინი ამოკლებენ გზასა. შუათანა საზოგადოება შედგა და დაფიქრდა; აღარ გაჰყვა უკან იმათ, რომელნიც საჩქაროთ მიიწევდნენ. მეორეს მხრიდგან, მდაბალი ხალხი არ იყო მომზადებული, რომ მოეხმარებინა თავისი დიდი უფლება, რომელიც მიეცათ მოულოდნელად; და როდესაც დაიწყეს ამორჩევა ორი პარტიისაგან: ლიბერალებისა და ტორიებისაგან, მაშინ ძნელი იყო იმათთვის რომელი ერჩიენათ და რომლისათვის მიეცათ ხმა საკმაო თანხმობითა. ლიბერალები (თავისუფლების მოყვარენი) და კონსერვატორები ერთად არიან მომხრენი ეკონომიურის სწავლისა, რომელიც არაფერსა ჰპირდება მუშა ხალხსა; მუშა ხალხისაკენ ხანდის-ხან ძველი დიდ-კაცობა უფრო ლაპარაკობს, ვიდრე თავისუფალი ვაჭარი. აი რა იყო, ჩემის აზრით, მიზეზი, რომ ასეთი ძალა გამოიჩინა ტორიების კონსერვატორობამა; უფ. ბლადსტონმა მოიმხრო კონსერვატორობა ვიგებისა მხოლოდ იმიტომ, რომ წინ დაუყენოს ტორიების კონსერვატორობასა. ამ გვარი გარემოება, რასაკვირველია არის დროებითი, რომელიც გადიელის. მაგრამ უფ. ლოვე უნდა იყოს გაკვირვებული საქმის ამ გვარი მიმარულებით. ხის ცხენისაგან ილიონის დალუპვა კი არ გამოვიდა, როგორც ის ქადაგებდა, — იქიდგან გამოვიდა ლორდების სამინისტრო, რომელსაც უფ. ბრაიტმა უძღვნა თავისი სახელგანთქმული სახელი. ბარდა ამისა რეფორმატის ბილლმა, რომელსაც უფ. ლოვე სასტიკად ჰკიცხავდა, დასაჯა ის მით, რომ გახადა მინისტრად.“

უფ. ბლადსტონის სამინისტროს Daily—News კეთილად უყურებს. ეს გაზეთი ამბობს: მჭევრმეტყველობა უფ. ბრაიტისა და ლოვესი, აგრეთვე საქმიანობა პირველისა და გამჭრიახობა მეორისა მოუტანენ კარგს სარგებლობას სახელმწიფო მმართველობასა. ბარდა ამისა, ეს გაზეთი ამბობს, რომ ახლანდელი სამინისტრო უფრო თავისუფლების მოყვარეთაგან არის შემდგარი, ვიდრე ყველა უწინდელიო. მხოლოდ ორი იმისი მწევრნი — მარკიზი ბარტინგტონი და ფორტესკუ არიან ჩამომაელობით პერები; სხვა ყველა დაბალი ხალხის ჩამომავლობისანი არიან. ამგვარად უფ. ბლადსტონი და ქარდუელი — მხედრობის მინისტერი, არიან ლიევერპულელი ვაჭრების შვილები; უფ. ბრაიტი, ვაჭრობის მინისტერი, არის ფაბრიკანტი ლანკასტერის საგრაფოსი; უფ. ბოშენი, გლახების მიშველების საქმეთა გამგები, პირველად იყო ერთი ამხანაგთაგანი სავაჭრო სახლისა სიტში; უფ. ლოვე, ხაზინის კანცლერი და უფ. ჩაილდერსი, ზღვის მინისტერი, არიან შვილები ანგლიკანის საყდრის მღვდლებისა, რომელთაც მოიპოვეს ქონება და კარგი სახელი ავსტრალიაში ადვოკატობითა; ბოლოს უფ. ბრუსი, შინაგანი საქმეთა მინისტერი, არის უმცროსი შვილი მემამულისა ვალლისის სათავადოსი; უფ. ბრუსი პირველად იყო მომრიგებელ მოსამართლეთ.

ᲐᲗᲘᲜᲐ.

ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ 21-სა. ერთი პირველთაგანი მიზეზი ოსმალეთის მმართებლობის გაჯავრებისა საბერძნეთზედ ის არის, რომ საბერძნეთიდგან გროვდებიან ვოლონტერები ქრიტის ინსურგენტების მისაშველებლად. ოსმალეთი ჰკიცხავდა საბერძნეთს იმაზედ უფრო, რომ ესენი ჰშველიან იმის მტრებსა და განდგომილთა, სდგება საბერძნეთის ჯარის გროვა გაქცეულთაგან. ათინის კორესპონდენტი გაზეთი Partie-სა გვარწმუნებს, რომ ეითომ აქაურმა კაბინეთმა დაკმაყოფილა თხოვნა ოსმალეთისაო; ამასთან თავი-

სის სიტყვების დასამტკიცებელად გამოგზავნა დედანი მხედრული მინისტრის ცირკულიარისა, რომელშიაც მინისტრი უბრძანებს მაომართა თანამდებობათა, რომ სასტიკად მოექცნენ ჯარიდგან გაქცეულთა. სხვა ცნობაებიდგან კი როგორცა სჩანს, ბერძნები ცხადად ცდილობენ ეოლონტერების მოგროვებასა; ათინაში ზის პეტროპულაკი, რომელიც არის ქანდიის ინსურგენტების წინამძღოლი და აგროვებს ეოლონტერებსა საბერძნეთის მმართებლობის თვალ წინ. ფულგარისის სამინისტროს უჭირავს ქანდიელების მხარე და აპირობს ყოველის ღონისძიებით უშველოს იმათ მეორედ აშლასა. ამგვარად საქმე ძალიან საშიშს მიმართულებას მიიღებს. უმაღლესი ოსმალეთი და სხვა სახელმწიფონიც ძალიან ადვილად მოექცნენ ქანდიის საქმესა და ეგონათ, რომ სრულებით დამშვიდდა მხარეო. მხოლოდ ანგლია მიხვდა ნამდვილს გარემოებასა და ოსმალეთს ურჩევდა, რომ ქანდიელებისათვის ეჩუქებინა თვით-მმართველობა, რომლის თავზედაც იჯდებოდა ქრისტიანი თავადი.

მონიტერის სამუდამო განხილვაში სწერენ საბერძნეთისა და ოსმალეთის განხეთქილებაზე, დეკემბრის 18-დგან: „საბერძნეთის საქმეშიაც ევროპის სახელმწიფონი იჩენენ იმ გვარს ერთპირს მოქმედებასა, როგორც გამოიჩინეს რუმინიის საქმეში. ყოველი სახელმწიფო, რომელთაც მოუწერიათ 1856-ის ტრაკტატზედა, ურჩევენ საბერძნეთსა, რომ იყოს მშვიდად და პატივისცენ ყველას უფლებასა: ათინაში და ქოსტანტინეპოლში ერთგვარად ცდილობენ, რომ შეასმინონ სიმშვიდისა და სიგონივრის აზრები. ამ გვარად იმედი არის, რომ საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა დიპლომატიური განხეთქილება მოისპობა დასაწყისშივე“.

ათინიდგან გვაცნობებენ, დეკემბრის 16-დგან, რომ ხაზინის მინისტერი სთხოვს პალატას 6 მილიონს დრახმს სესხსა, რომ მიაშველოს გაჭირებულთ ქანდიელების სახლობათა, და სხვა აზრებისათვის, რომელსაც არ აღიარებს. მინისტერს იმედი აქვს მხრის წარმომდგენელთა პატრიოტობისა. ამის წინა დღეს, 350 კანდიელნი დედაკაცნი და უმაწვილები ჩასხდნენ პირეიში გემში, რომელთაც უმზერდნენ მრავალი ჯარი და ჯანდარმები.

ოსმალეთი.

როგორ ცქოსტანტინეპოლის კორრესპონდენტის სიტყვებიდგანა და სხვა გაზეთებიდგან სჩანს ასე რაფად განხეთქილება ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა მოსმხდარა უფრო ოსმალეთის მიზეზით და საბერძნეთს მაგდენი ბრალი არა ჰქონია. გაზეთებში ვპოვებთ შემდეგსა: ცეცხლის გემს „ენოზის“, რომელიც არის „არკადიონის“ მაგივრად და ემსახურება ქრიტის ინსურგენტების სარგებლობასა, აცნობეს, რომ ოსმალეთი აპირობსო, რაკი ნაჩუქარი ვადა გაივლის, დაეცეს მას და დაატყვევოსო. და ზღვაში რომ გამოსულიყო, სამს უკეთესს ოსმალეთის გემებს ბძანება ჰქონდა აღებული, რომ ზღარი ახლოს და რაკი კრიტის წყლებში შეიდოდა, მაშინვე შემოერტყმოდენ დაეტყვევებინათ. ამის გამო „ენოზისზე“ მყოფთ ადასწყვეტეს, რომ შეიცადონ ქანდიაში გადასვლა და უკანვე დაბრუნება. ამ შეცდის გამო შესდგა აგრეთვე ეოლონტერების გადაყვანა ქანდიაში. აი, მეორე შესანიშნავი ცნობაცა: ქანდიის სახლობათა გადაყვანამაც თავიანთ მამულზედ მიიღო კარგი მიმართულება ოსმალეთისათვის. ორმა ავსტრიის ცეცხლის გემმა გადაზიდა სირიდგან და თვით პირეიდგანაც ქანდიის სახლობანი. სალლინო კომიტეტის მწევრნი ურჩევდნენ უბედურთ. წამსვლა, რომ დარჩომილიყვენენ საბერძნეთში ... ...ლევდნენ იმედებს მომავლისათვის. ზოგმა დაიჯერა და დარჩნენ საბერძნეთში, მაგრამ ბევრი წილი დადგა თავიანთ პირველს აზრსა. იმათ დაბრუნებას თავიანთ სამშობლოში საბერძნეთის თანამდებობა სრულებით არ უშლიდა; მხოლოდ ეს იყო, რომ ავსტრიის კონსულთან და იმის ამხანაგებთან ჰკითხეს წამსვლელებსა—გსურთ დაბრუნება სამშობლოში, თუ დარჩებით აქაო. ზოგმა მოიწადინა წასვლა, ზოგმა დარჩენა. ამაზედ მაშინვე შეადგინეს პროტოკოლი კონსულის თანა დაწერებითა და ქრიტის სახლობანი მიანებეს თავიანთ ნებაზედ. ამ ორის ფაქტიდგანა სჩანს, რომ ოსმალეთს შეეძლო, როდესაც მოენდომებინა, მაშინვე შეეყენებინა ინსურგენტების ქრიტში გადასვლა და აგრეთვე იქაური სახლობანი იყვნენ ყოველთვის თავიანთ ნებაზე: საბერძნეთი ამ ორ საგანს სრულებით არ ეხებოდა. მაშ რითი უნდა აეხსნათ ოსმალეთის ასეთი სასტიკად მოქცევა? იმით, რომ ოსმალეთი ახლა ნანობს საბერძნეთს რად მივეცი რომელიმე გარანტიებიო და ახლა თუ მოუწადინებია წართმევა, და თუ ეს არის აზრი იმისი, მაშინ ძალიან სცდება. პირველი ეს, რომ ამის ნებას არა სახელმწიფო არ მისცემს და გარდა ამისა სასიხარულოდ არც იმოდენი საკუთარი ღონე აქვს, რომ მოიგოს საქმე. ბედი უღონო მმართებლობათა და იმის ქვეშე მდგომთა უცხო ხალხთა ყოველთვის ის არის, რომ პირველი უნდა იყოს შეეიწროებული, რომ არაფერი ენება არ შეეძლოს ხალხისა, და მეორე ისა, რომ თავის უფლება არ დაკარგოს საუკუნოდ. მართლადაც ოსმალეთი რადგანაც უღონო არის, ამიტომაც ბევრმა იმის ქვეშე ვრდომთა ხალხთა მიიღეს საკუთარი მმართველობა და თავის უფლება და თუ ოსმალეთს აქვს რამ იმათზე უფლება—ისიც ცარიელი სახელითა და საქმით კი არა. სერბიის დამოკიდებულება ოსმალეთთან ის არის, რომ პირველი თორმეტი ათას თუმანს აძლევს წელიწადში ხარჯსა.

ოსმალეთი.

ოსმალეთის მზადება საომრად. კონსტანტინეპოლის გაზეთში levant herald დაბეჭდილია: „ზობარტ-ფაშას მისცეს ვიცე-ადმირალობა და დანიშნეს ვიცე-ადმირალათ და განემგზავრა ფლოტით ქანდიის ზღვისპირებში. ზობარტ-ფაშა დეკემბრის 12-ს წავიდა სუდის ნავსადგურში; ამასთან იმასა აქვს მიცემული უფლება, რომ რანაირათაც უნდა ისე იმოქმედოს ზღვაში ოსმალეთის სიმართლის დასაცველად. ამბობენ ზობარტ-ფაშა პირველად გემის, სახელად „ენოზისის“, საქმეს შეუდგებაო. მზადდება ძალიან ღონიერი ზღვის ჯარი ჯავშნიანი გემებითა, რომელიც გავა ზღვაში. იბრაიმ-ფაშის წინამძღომლობით. როგორც ზღვისას, ხმელეთის ჯარსაც აგრეთვე ამზადებენ: უმატებენ თესალიის ჯარსა, თუმცა კონსტანტინეპოლის გაზეთის სიტყვით, აბდულ-ჰარუმ-ფაშამ აცნობა მთავრობას ტელეგრაფითაო, რომ საკმაო ჯარი მყავსო და ათინაში მისვლისათვის ოთხი დღის მეტს არ მოვანდომებო.

პარიჟის გაზეთში Patrie სწერენ დეკემბრის 15-დგან: „ვიცე-ადმირალს ზობარტ-ფაშას აქვს მიცემული დარიგება, რომ ომის დროს შეჰკრას ხუთი პორტი, რომლებშიაც საბერძნეთის ვაჭრობა არის მოგროვებული; ეს პორტები არინ პირეი, ნავილია, პატრასი, სირი და ქორფუ. გარდა ამისა კონსტანტინეპოლში მზადდება 10 ათასი რაზმი, რომელსაც მერე ჩასხმენ გემებში და გაგზავნიან, საცა მოითხოვს საჭიროება. ჯერ აქამდის არიან გაგზავნილნი ზღვის ჯარად ორი ბატალიონი მასროლი ქვეითი ჯარისა და ორი ბატალიონი გვარდიის ქვეითები, რომელნიც დასხეს გემებზე „ლუფტია“ „ს ხდე“ ზედ და მოქმედებენ არხიპელაგში.

ესპანია.

დროებითი მმართებლობა აცხადებს, რომ ქორტესების შეყრა იმიტომ დავაგვიანეთო, რომ პატარად სიმშვიდე ჩამოვარდნილიყო ხალხში. გარდა იმისა, დროებითი მმართებლობა აცხადებს, რომ გესურდა პარტიები შემდგარიყვნენო და საფუძლიანად მიეღოთ მონაწილეობა დაბრკოლებათა მოცილებისათვის; ამ აზრით იმან მისცა პარტიებს ყოველი ღონის ძიება, რომ იმათ ჰქონოდათ ყოველი გვარი თავის უფლება, რომელიც შეადგენს რევოლუციის პროგრამასა. ამ გამოცხადებაში არის ნათქვამი, რომ დროებითი მმართებლობა არ ერეოდა აღმორჩევაში და უშლიდა კიდეც, რომ სხვა უკანონო გარეშე გავლენას ემოქმედნა მაში, მაგრამ თავის აზრს კი ყოველთვის აღიარებდა, რომ მონარხიული მმართებლობა სჯობსო. დროებითი მმართებლობა იქნებოდა დაკმაყოფილებული მაშინ, როდესაც აღმორჩევაში მონარხიელებს მოეგოთ საქმე და ესპანიაში აეყენებინათ მონარხია. მმართებლობასა ჰსურდა, რომ ეს მონარხია არა ყოფილიყო აღმორჩევითი, მაგრამ ყოფილიყო ქაროლის წარმომდგენლობით, რომელიც მიიღებდა ხალხისაგან განგების უფლებასა. ამ გვარად დროებით მმართებლობასა ჰსურს მემკვიდრეობითი მონარხია.

ქადიკსის დამშვიდება. მადრიდის ქორესპოდენტი სწერს jndependance Belge-ში, დეკემბრის 14-დგან: „ანდალუზიის ჯარი გუშინ ორ საათზე შუადღის უკან შევიდა ქადიკსში მშვიდად, ასე რომ არა შემთხვევა არა ენახავს. მაგრამ დილით ისევა შიშობდნენ, რადგანაც რესპუბლიკელები არ აძლევდნენ მხედრებს თოფი-იარაღსა, და უწინდელსავით იდგნენ იმაზედ, რომ შეერთებული შტატების კონსულს მივცემთო. ბენერალმა დე-რადოსმა უპასუხა, რომ მაგგვარ ქცევას ჩვენა ვრაცხთ ნაციის დამცირებათაო, და თუ არ დათანხმაედებით ჩვენ თხოვნაზე, მაშინ შუადღისას ბავაახლებ ომსაო. ამ მუქარას კარგი მოქმედება ჰქონდა. ქადიკსის დამშვიდება ძალიან იამათ ყველას ესპანიაში და დროებითს მმართებლობას ყოველის მხრიდგან მოსდის მოსალოცი ადრესები. იმედი არის, რომ ახლა ყველა პარტია მშვიდად დაუცდიან კორტესების გარდაწყვეტილებასა.

ბერცოგი მონპანსე. დროებითმა მმართებლობამ მიიღო ცნობა, დეკემბრის 12—დგან, რომ ბერცოგი მონპანსი მიდის ქადიკსში, რომ მიეცეს იმ გენერლის განკარგულებასა, რომელსაც აბარია იქ ჯარი. მმართებლობამ მოუწონა წადილი, მაგრამ მისწერა, რომ დაანებოს თავი ამასა, რადგანაც პოლიტიკაში სხვაფერ ახსნიან ამ გვარ მოქცევასა და წავიდეს, პორტუგალიაში ახლავ; ამასთანა ჩვენა გემი, რომელიცა იმის ხელში იქმნება.

საქართველო.

(ისტორიული მიმოხილვა.)

I

„პირველათ ღმერთმან შექმნა ცა და ქვეყანა; ხოლო ქვეყანა იყო უხილავი და შეუმზადებელი და ბნელი იყო პირსა ზედა წყედიადისასა და სული მღვთისა იქცეოდა წყალთა ზედა“. ასე იწყობს თავის „დაბადებას“ პირველი მსოფლიო წელთა-მწერალი მოსე, რომელიც სცხოვრებდა მეთექვსმეტე საუკუნეში ქრისტეს შობის წინ. ამ სიტყვებით და შემდეგის სტრიქონებით მოსე წარმოგვიდგენს ქვეყნის დასაწყისს. ქვეყანა, მოსეს გამოკვლევით, ჯერ ხაოსია; წყალი და მიწა ერთმანეთში არეულია; მცენარე, ცხოველი არსადა ჩანს; დროს განმაელობაში დედა-მიწა ხაოსიდამ გამოდის, წესში შედის; იმოსება სიცოცხლით. დედა მიწა ჯერ მცენარეებსა აღმოაჩენს, მასუკან ცხოველებს, ბოლოს და-გვირგვინება „ხატითა და მსგავსებითა ღვთისათა“. აი მოსეს სურათი. თითქმის ამ გვარათ გამოგვიხატავს ქვეყნის დასაწყისს თვით მსოფლიო მეცნიერება. დიდხანი არ არის, რაც მეცნიერებამ მოიპოვა ნამდვილი ცოდნა ქვეყნის დასაწყისზე და იმის პირველ-საუკუნოებზე. დიდი ხანი არ არის, რაც ის დარწმუნდა, რომ მოსეს „დაბადება“ შეიცავს ძველის დროების სიტყვიერს გარდამოცემას, რომ ამ გარდამოცემის საფუძველი უეჭველია, რომ ის უჩვენებს ფარდას ქვეშ გეოლოგიურს ეპოქებს, მიწის პირის ცვლილებაებს, ორგანიზმების ერთის მეორის შემდეგ გამოჩენას, და სხ. მოსე არის ძველი მეცნიერების ნაყოფი და წარმომადგენელი. ბევრს არ შეუძლიან მოსეს მსოფლიო მნიშვნელობას მიჰხვდეს. ვისაც სურს მოსე დააფასოს, ის უნდა აღიჭურვოს ახალის მეცნიერებით. უამისოთ იმის „დაბადებაში“ ჩვეულებრივი მკითხველი შესანიშნავს ვერას ამოიკითხავს.

მეცნიერება, რომელიც მოგვითხრობს ძველს ისტორიას დედა-მიწისას და ადამიანისას, არის გეოლოგია და ფილოლოგია. გეოლოგია სწავლაა მიწაზე, ფილოლოგია-სწავლაა ენებზე. გეოლოგიას საგნათ აქვს ისტორია დედა-მიწის შენივთებისა, და გამოხატვა იმ ცვლილებაებისა, რომელნიც იმის ზურგზე და იმის გულში მომხდარან; გეოლოგიით შევიტყეთ, როგორ დაარსდა ქვეყანა, რა იყო ის პირველათ, რა მდგომარეობაში იყო როდესაც გაჩნდნენ ხმელეთი, მთები, მცენარენი, პირუტყვნი, ადამიანი; რა იყო თავდა-პირველათ ადამიანი, როგორი ჰქონდა იმას ცხოვრება. ფილოლოგიით შევიტყეთ, სად ჰქონია ამა და ამ ხალხს პირველი ადგილ-სადგომი, რომელი ტომის ფესვიდამ არის წარმომდგარი, რა გვარი ყოფილა იმისი ყოფა-ცხოვრება, ვისთან ჰქონია იმას დამოკიდებულება, თავისს გადასახლებაში სად და სად უმგზავრია, სად შემდგარა, ვის გავლენას ქვეშ ყოფილა, და სხ.—ორივე ეს საგანი ლირს-შესანიშნავია. ისინი შეადგენენ უკეთესს და უეჭველს მატიანეს უძველესის დროებისას, იმ დროებისას, როდესაც ადამიანი ჯერ პირუტყულის ცხოვრებიდამ არ იყო გამოსული, წერა-კითხვა არავინ იცოდა, ისტორია არსად იწერებოდა. გეოლოგია და ფილოლოგია თუმცა ახლათ დაწესებული მეცნიერებაა და მაშა სადამე ჯერ მომავალ დროს იმას დიდი ასპარეზი აქვს გასაველელი, მაგრამ რაც აქამომდე იმან გამოიკვლია, ისიც დიდს სინათლეს მოჰფენს წარსულს ეპოქებს. მეტადრე ფილოლოგია. არა ვგონებთ ჩვენი მკითხველი უკმაყოფილო დარჩეს, რომ ცოტაოდენ შევედგეთ ამ ორ საგანზე. მკითხველი თუ ახლა არა, შემდეგ მიჰხვდება, რა აზრით ვიწყობთ „საქართველოს“ აღწერას ამ საგნებით.

ახლა აღარა ვის აქვს ეჭვი, რომ ჩვენი ქვეყანა არის ისეთივე პლანეტა, რომელთაც სამყაროზე ვხედავთ, და სხვა პლანეტიდამ რომ დააცქერდეთ იმას, ის ისე ბრწყინავს, როგორათაც სხვანი. მაშა სადამე ჩვენი ქვეყანა და პლანეტები ერთ-გვარათ არიან შენივთებულნი. პირველათ ის იყო შემდგარი, გეოლოგიის გამოკვლევით, გაზის მსგავსის გროვათაგან, რომელნიც დროს განმაელობაში შეჯგუფდნენ და შესქელდნენ; გარეთი კანი გამაგრდა, შიგნით დარჩა გალხობილი მასსა, რომლის მოძრაობითაც დედა-მიწა დროითი-დრომდე შიერყეოდა, აქა-იქ გამოხეთქავდა. შიგნიდამ ამ მასსის დენამ, გარედამ წყლის მოქმედებამ გამოუწერელის დროს განმაელობაში გააჩინა მრავალი მთა და კუნძულები. დედა-მიწის კანი შემდგარია სხვა და სხვა ფორმაციებით, რომელნიც ერთი მეორეზე არიან აგებულნი. თვითეულს ფორმატიას საკუთარის ცხოვრებით უცხოვრია, საკუთარის ხელით თავისი ისტორია დაუწერია. სიცოცხლით. დედა მიწა ჯერ მცენარეებსა აღმოაჩენს, მასუკან ცხოველებს, ბოლოს და-გვირგვინება „ხატითა და მსგავსებითა ღვთისათა“. აი მოსეს სურათი. თითქმის ამ გვარათ გამოგვიხატავს ქვეყნის დასაწყისს თვით მსოფლიო მეცნიერება. დიდხანი არ არის, რაც მეცნიერებამ მოიპოვა ნამდვილი ცოდნა ქვეყნის დასაწყისზე და იმის პირველ-საუკუნოებზე. დიდი ხანი არ არის, რაც ის დარწმუნდა, რომ მოსეს „დაბადება“ შეიცავს ძველის დროების სიტყვიერს გარდამოცემას, რომ ამ გარდამოცემის საფუძველი უეჭველია, რომ ის უჩვენებს ფარდას ქვეშ გეოლოგიურს ეპოქებს, მიწის პირის ცვლილებაებს, ორგანიზმების ერთის მეორის შემდეგ გამოჩენას, და სხ. მოსე არის ძველი მეცნიერების ნაყოფი და წარმომადგენელი. ბევრს არ შეუძლიან მოსეს მსოფლიო მნიშვნელობას მიჰხვდეს. ვისაც სურს მოსე დააფასოს, ის უნდა აღიჭურვოს ახალის მეცნიერებით. უამისოთ იმის „დაბადებაში“ ჩვეულებრივი მკითხველი შესანიშნავს ვერას ამოიკითხავს.

მეცნიერება, რომელიც მოგვითხრობს ძველს ისტორიას დედა-მიწისას და ადამიანისას, არის გეოლოგია და ფილოლოგია. გეოლოგია სწავლაა მიწაზე, ფილოლოგია-სწავლაა ენებზე. გეოლოგიას საგნათ აქვს ისტორია დედა-მიწის შენივთებისა, და გამოხატვა იმ ცვლილებაებისა, რომელნიც იმის ზურგზე და იმის გულში მომხდარან; გეოლოგიით შევიტყეთ, როგორ დაარსდა ქვეყანა, რა იყო ის პირველათ, რა მდგომარეობაში იყო როდესაც გაჩნდნენ ხმელეთი, მთები, მცენარენი, პირუტყვნი, ადამიანი; რა იყო თავდა-პირველათ ადამიანი, როგორი ჰქონდა იმას ცხოვრება. ფილოლოგიით შევიტყეთ, სად ჰქონია ამა და ამ ხალხს პირველი ადგილ-სადგომი, რომელი ტომის ფესვიდამ არის წარმომდგარი, რა გვარი ყოფილა იმისი ყოფა-ცხოვრება, ვისთან ჰქონია იმას დამოკიდებულება, თავისს გადასახლებაში სად და სად უმგზავრია, სად შემდგარა, ვის გავლენას ქვეშ ყოფილა, და სხ.—ორივე ეს საგანი ლირს-შესანიშნავია. ისინი შეადგენენ უკეთესს და უეჭველს მატიანეს უძველესის დროებისას, იმ დროებისას, როდესაც ადამიანი ჯერ პირუტყულის ცხოვრებიდამ არ იყო გამოსული, წერა-კითხვა არავინ იცოდა, ისტორია არსად იწერებოდა. გეოლოგია და ფილოლოგია თუმცა ახლათ დაწესებული მეცნიერებაა და მაშა სადამე ჯერ მომავალ დროს იმას დიდი ასპარეზი აქვს გასაველელი, მაგრამ რაც აქამომდე იმან გამოიკვლია, ისიც დიდს სინათლეს მოჰფენს წარსულს ეპოქებს. მეტადრე ფილოლოგია. არა ვგონებთ ჩვენი მკითხველი უკმაყოფილო დარჩეს, რომ ცოტაოდენ შევედგეთ ამ ორ საგანზე. მკითხველი თუ ახლა არა, შემდეგ მიჰხვდება, რა აზრით ვიწყობთ „საქართველოს“ აღწერას ამ საგნებით.

ახლა აღარა ვის აქვს ეჭვი, რომ ჩვენი ქვეყანა არის ისეთივე პლანეტა, რომელთაც სამყაროზე ვხედავთ, და სხვა პლანეტიდამ რომ დააცქერდეთ იმას, ის ისე ბრწყინავს, როგორათაც სხვანი. მაშა სადამე ჩვენი ქვეყანა და პლანეტები ერთ-გვარათ არიან შენივთებულნი. პირველათ ის იყო შემდგარი, გეოლოგიის გამოკვლევით, გაზის მსგავსის გროვათაგან, რომელნიც დროს განმაელობაში შეჯგუფდნენ და შესქელდნენ; გარეთი კანი გამაგრდა, შიგნით დარჩა გალხობილი მასსა, რომლის მოძრაობითაც დედა-მიწა დროითი-დრომდე შიერყეოდა, აქა-იქ გამოხეთქავდა. შიგნიდამ ამ მასსის დენამ, გარედამ წყლის მოქმედებამ გამოუწერელის დროს განმაელობაში გააჩინა მრავალი მთა და კუნძულები. დედა-მიწის კანი შემდგარია სხვა და სხვა ფორმაციებით, რომელნიც ერთი მეორეზე არიან აგებულნი. თვითეულს ფორმატიას საკუთარის ცხოვრებით უცხოვრია, საკუთარის ხელით თავისი ისტორია დაუწერია.

თვითეულს იმათგანს დაუმარხავს თავისს გულში ნაშთი ანუ კვალი ყოველის ორგანიზმისა, მცენარისა თუ პირუტყვისა; მრავალი იმათგანი გაქვავებულია. თვითოეული ფორმაცია შეადგენს განსაკუთრებითს ეპოქას. შეველესის ფორმაციის ორგანიზმები დროს განმავლობაში ისე იცვლებიან, რომ მეორე ფორმაციის ორგანიზმებს მცირედღა ემსგავსებიან, მესამე ფორმაციაში იმათ სრულებით ველარა ვცნობთ. რამდენათაც ფორმაციები ისტორიულს დროს უახლოვდებიან, იმდენათ იმათი ორგანიზმები ახლანდელს ორგანიზმებს ემსგავსებიან. ეს ფაქტი იმას გვიმტკიცებს, რომ მთელი დედა-მიწა ცხოვრებს, მოძრაობს, და ჩვეულებრივის თვალისთვის შეუნიშნავათ იცვლება; იმას აქვს თავისი სიყმაწვილე, სიჭაბუკე, სრულ-წლოვანება, მოხუცება და სიკედილი.—ახლა ჩვენ დაჭეშმარიტებით ვიცით, რომ მესამე გეოლოგიის ეპოქაში ვრცელი საგარის უდაბნო (აფრიკაში) ზღვის ძირი იყო; ჩრდილო-დასავლეთის აფრიკა, აზორის კუნძულები და პორტუგალია ჩრდილო-ამერიკასთან შეერთებულნი იყვნენ. საგარიდამ სიცხე ჯერ არა სცემდა ევროპას და ევროპა ყინვით იყო გარე-მოცული. ბარდა ამისა ზღვა ჰფარავდა ჩრდილოეთის ნაწილს შინლანდიისას, ოსტძიის პროვინციებს და ჩრდილეთის ნაწილს ბერმანიისას. მხოლოთ შუა მხარე სკანდინავისა ამოიმართებოდა ზღვის გულიდამ. გეოლოგიურმა დრომ გაიარა. ხმელეთი ცოტ-ცოტათ აბურთდა, ამაღლდა. ფრანცია და ანგლია შეერთებულნი იყვნენ; მომატებული ნაწილი ჩრდილოეთის ზღვისა ამდროს ხმელეთი აყო. შემდეგ ამისა დედა-მიწამ კიდევ დაიწია; ანგლია და ფრანცია გაიყარნენ. ჩრდილოეთის ზღვის ძირი წყალმა დაჰფარა. თვით ახლანდელი კავკასიის მხარე არის ნაყოფი სამგვარის მოძრაობისა: პირველმა მოძრაობამ მცირეთ ააბურთა კავკასიის ქედი. შემდეგ რამოდენიმე დრო ეს მხარე მოსვენებული იყო. მეორე აბურთებამ გააჩინა ახალციხის მხარის მთები. კავკასიის იქით და აქეთ დიდი ოკეანე ღელავდა; შავი ზღვა და კასპიის ზღვა შეერთებულნი იყვნენ; თვით კავკასია კუნძულს წარმოადგენდა. მესამე მოძრაობამ კავკასიას მისცა აწინდელი თვისება და სიმაღლე. ზღვებმა დაიწიეს. ქართლი, იმერეთი, ვრცელი მინდვრები შავისა და აზოვის ზღვის გარეშემო, ყირიმი ხმელეთათ გადაიქცნენ. ამ დროდამვე იწყობა კასპიისა და შავის ზღვის განერთება. ამ დროსვე გაჩნდნენ ვულკანები (ცეცხლის აღმომცემელი მთები) იქ, სადაც ახლა აღიმართებიან ელბრუსი, ფასის-მთა, უაზიბეგი და წითელ-მთა. რა დრო იყო საჭირო, რომ ამ გვარი ცვლილება მომხდარიყო? ამაზე ნულარას ვიტყით: ეს წარმოდგენითაც არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ. ძნელი არის ამისი გამოკვლევა. ეს კია შენიშული, რომ გეოლოგიური ცვლილება აქამომდე არ შეწყვეტილა და რა მოხდება შემდეგში, არ ვიცით. ვიცით მაგალითებრ, რომ მთელი აღმოსავლეთის ნაპირი შვეციისა უფრო და უფრო იბურთება; საუკუნის განმავლობაში ერთს ფუტზე ადის. მეორეს ამ გვარს მაგალითს წარმოადგენს ანგლიისა და შოტლანდიის საზღვარი: აქ პიკტის კედლის აშენების შემდეგ (ადრიანე იმპერატორის დროს რომში) დედა-მიწის პირი აწეულა 20 ფუტზე. [1])—გეოგრაფიულს ცვლილებას თვით ჰავის ცვლილება მოაქვს. რადგანაც, როგორც ზემოთა ვთქვით, ხმელეთის პირი ერთს მდგომარეობაში არა ყოფილა, ამისთვის ჰავაც სხვა და სხვა გეოლოგიურს ეპოქაში ყოფილა სხვა და სხვა. მაგალითი ბევრი ვიცით, რომ სადაც უწინ ცხელი ჰაეა ყოფილა, იქ ახლა ცივა. ამას დასამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ დანაშთენებს მცენარეებისას და ცხოველებისას, რომელნიც ახლა მხოლოთ ცხელს ქვეყნებში იმყოფებიან, პოულობენ იმისთანა ცივს ქვეყნებში, სადაც ჩვენს დროს იმათ ცხოვრება აღარ შეუძლიანთ.

ზემოთ ვუჩვენეთ, რომ თითქმის ყოველივე ორგანიზმი დაცულია ძველს ფორმაციებში. როდის იწყება თვითოეული ორგანიზმი, რა წარმატებაში შედის, რა ცვლილებას გამოიცვლის, რომელს ფორმაში გადადის, ეს თვით ფორმაციების მატიანეშია ჩაწერილი. მაშ სჩანს, ადამიანის კვალიც უნდა იყოს დარჩენილი დედამიწის გულში. ამ საგანზე აი რა ვიცით. შეველესს ფორმაციებში სრულებით არსად არის იმისი დანაშთენი. შემდეგ თუმცა ვპოულობთ ადამიანის კვალს, მაგრამ ეს კვალი ეკუთნის დაბალის ტომის მოდგმას და მხოლოთ ახალს ფორმაციებში იპოებამაღალი მოდგმის დანაშთენი, ესე იგი კავკასიის ტიპი, რომელსაც შეადგენენ თითქმის მთელი ევროპის ხალხნი და მომატებულნი აზიის მცხოვრებნი. გეოლოგია ხან და ხან იმასაც გვიჩვენებს, იმათგანი ვინ საიდამ არის მოსული. 1859 წელს შვეიცარიაში ამოთხარეს ძვლები, სხვა და სხვა ჭურჭელი და იარაღი, აგრეთვე შენობაები ხის ბოძებზე. გამოიკვლიეს და სცნეს, რომ ამ შენობაების მცხოვრებნი მოსულან აზიიდამ, საიდამაც თან მოუტანიათ იარაღი ნეფრიტისა, რომელიც ევროპაში არსად იპოება. ამ სახითვე სცნეს, რომ იმათი ადგილი შემდეგ დაუჭერიათ იბერიის ტომებს, ბოლოს დროს იბერიელნი განუდევნიათ კელტებს, რომელნიც ყოფილან გავრცელებულნი მცირე-აზიიდამ ევროპის დასავლეთამდე 1500 წლის წინ ქრისტეს შობისა. რა ხანია რაც ადამიანის კვალი ამოჩნდა? ამ საგანზე აი რამდენიმე ფაქტი. ეგვიპტეში, ნილოსის მდინარის მინდვრებში, მიწის თხრის დროს, 60—72 ფუტზე მიწაში იპოვეს ეგვიპტური თიხის ჭურჭლის ნატეხები. რადგანაც ჭირარისა და როსიერის გამოკვლევით ვიცით, რომ აქ დედა-მიწა ერთს საუკუნეში $5^1/_2$ ფუტზე მაღლდება, აქედამ სჩანს, რომ ეგვიპტის ხელოვნება ნილოსის გარეშემო 24,000 წლის წინათვე დამყარებული ყოფილა. ამერიკაში, მისსისიპის დელტაში ამოიღეს მიწიდამ ღრმათ ჩაფლული ადამიანის ძვლები. გამოანგარიშებულია, რომ ვიდრე ეს დელტა შესდგებოდა, საჭიროა ყოფილა 258,000 წელი; მაშასადამე ადამიანის ძვლები 57,000 წლისა მაინც უნდა იყოს. სედერტელტეს კანალ ქვეშ, რომელიც მელარიას ტბას ბალტიის ზღვას აერთებს, ნახეს მეთევზის ქოხი; ქოხში იპოვეს ქურა, ნახშირი და შეკრული ფიჩხი. ჩვენ ვიცით, რამოდენი დრო ყოფილა საჭირო შვეციის აღმოსავლეთის ნაპირების ცვლილებისათვის; ლაიელის გამოკვლევით, რომელმაც აწინდელი გეოლოგია დაწესა, ეს ცვლილება მოითხოვს 10 დუმს ერთის საუკუნის განმავლობაში, სტოკგოლმის გარეშემო. ლაიელმავე დაამტკიცა, რომ ვიდრე ეს მხარე იქამდე აბურთდებოდა, რა სიმაღლეზედაც ახლა ის იმყოფება, დედა-მიწას კიდევ ერთხელ დაუწევია.

ეს უკანასკნელი შემთხვევა ყოფილა მიზეზი, რომ მეთევზის ქოხი ზღვის ქვიშას და ლოკოკინებს ქვეშ მოჰყოლია. ორივე ეს მოძრაობა—დაწევა და შემდეგ აბურთება შვეციისა შეადგენს ერთათ 800 ფუტს, რომელიც მოითხოვს 70—80,000 წელს; ამ ხანს გაუვლია იმ დროდამ, რაც მეთევზეებს ქოხი აუშენებიათ ბალტიის ზღვის პირათ. შეიძლება კიდევაც უჩვენოთ ამ გვარი ფაქტები; მაგრამ რაც უჩვენეთ, ისიც საკმაოთ აღმოგვიჩენს, რომ იმ დროდამ, ვიდრე ადამიანის ტომი სცხოვრებს ქვეყანაზე, ასი ათასს წელს მაინც გაუვლია. [1])

რასაც რომ დედა-მიწის პირველ-საუკუნოობაზე გეოლოგია მოგვითხრობს, იმ გვარსავე მოთხრობას წარმოგვიდგენენ ენები პირველ-დროების კაცობრიობაზე. თვითოეული ენა შემდგარია, დედა-მიწის მსგავსათ, სხვა და სხვა ეპოქების ფორმაციებით; ამ ფორმაციებში დამარხულია ძველი ფორმები ენისა. თუმცა შედარებითი ენათ-სწავლა სრულებით ახალი მეცნიერებაა, თუმცა ჯერ იმას ცოტა მასალა აქვს შეგროებული, მაგრამ რაც იმას აქამომდე გამოუკვლევია ენის ისტორიაზე, ისიც ძვირფასს ფაქტებს შეიცავს. ბევრის ენისთვის იმას ჯერ ხელი არ უხლია, მაგრამ ენებს ისეთი ურთიერთი დამოკიდებულება აქვთ, რომ თუ ერთი საფუძვლიანათ გამოვიკვლიეთ, სხვებზედაც შეგვიძლიან რაიმე ვთქვათ. პირველი ფორმაცია ენასა, ანუ უკეთ ვთქვათ, საძირკველი, რომელზედაც ის აშენებულია, არის იმისი ფესვი. ფესვიდამ წარმოსდგება, გაიშლება და მრავლდება სიტყვები. სიტყვა თვითოეულს ენას აქვს მრავალი, ფესვი კი არა: ბევრი-ბევრი 500 [2]). რაც უნდა ენა შეიცვალოს, მიიქცეს, ფესვი შეურყეველათ შთება, ხელ-უხლებლათ გადადის ერთის ენიდამ მეორეში და მესამეში. არ არის ენა, რომ შერეული არ იყოს. არც ერთი ნათესავი, არც ერთი ტომი ისე განაპირებული არა ყოფილა, რომ იმას ოდესმე უცხო-თესლთან დამოკიდებულება რამ არა ჰქონიყოს და იმისგან სიტყვები არ შეეთვისოს. ესეც მომხდარა, რომ ერთს ენას მეორე დაუმონავებია ძალით თუ ფორმების სიმდიდრით, წარმატებით. მაგრამ ამასთანავე იმასაც ვიტყვით, რომ თუმცა სიტყვები ენაში ბევრჯელ შერეულია, მაგრამ იმისი გრამმატიკა შეუცვლელათ შთება ნათესაურს ენებში, რაც უნდა ისინი ერთმანეთს დაჰშორდნენ. უკეთესი დასამტკიცებელი საბუთი, თუ რომელი ენა რომლის ენიდამ აღმოსცენდა, არის გრამმატიკის ფორმები.—ენების გამოძიებით ჯერ არა ვართ დარწმუნებულნი, ერთის წყვილისაგან წარმოსდგა მთელი კაცობრიობა, თუ სხვა და სხვა წყვილისაგან, სხვა და სხვა დროს. უეჭველია მხოლოთ შემდეგი ფაქტი: აფრიკანულს ტომს ანუ ნეგრებს კავკასიის ანუ ინდო-ევროპიულს შტოზედ უფრო დაბალი მოდგმა აქვს და თვით ტვინი ნეგრებისა უფრო მსუბუქია.

რიცხვი ენებისა ჯერ დაჭეშმარიტებით არ ვიცით, მაგრამ უკეთესნი ფილოლოგები ამბობენ, ვითომც 900 მეტი ენა არ იყოს ხმელეთის პირზე [3]) „ენა მიგვიძღვის ჩვენ, იტყვის მაქს—მილლერი, დროების წყვდიადში, ბევრით შორს, ვიდრე ასსურისტანის ლურსმნის-მსგავსი ლიტერატურა, ვიდრე ეგვიპტის იეროგლიფური ქარტიები. ენა გვაკავშირებს შეუწყვეტელის სიტყვის ჯაჭვით კაცობრიობის წინაპართან და იქიდამ იწყობს თავისს ცხოვრებას. ენა არის ცხოველი და მოსაუბრე მოწამე კაცობრიობის ისტორიისა. უკანასკნელს დრომდე ენას არც ერთი ისტორიკი არ დაჰკითხვია, ვიდრე არ დაეკითხნენ განვითრებულნი მეცნიერნი—ბუმბოლტი, ბოპპი, ბუნზენი და სხვანი [4]). ყველა მსოფელიო ენები დაიყოფება სამ გრუპპათ ანუ ნათესაობათ: ერთს შეადგენენ სემიტები, ანუ არაბები, ებრაელები და არამიელები; არამიელები იყოფებიან სირიელებათ და ქალდაველებათ; მეორეს—არიელნი, ესე იგი ინდოელები, ირანელები, კელტები, იტალიელები, ელლინები, ვენდები და ტევტონები, მესამეს—თურანელები, ანუ თურგუზები, მონგოლები, თურქები, სამოედები და ფინნები [1]) სემიტნი სცხოვრებდენ ანუ აცხოვრებენ—არამიელები სირიაში, მესოპოტამიაში, ბაბილონში და ასსურისტანში; ებრაელები—პალესტინაში; არაბები—არაბისტანის ნახევარ-კუნძულზე; არიელები არიან დაფანტულნი მთელს აზიაში და ევროპაში; თურანები—თითქმის მთლათ აზიაში, მცირე იმათი ნაწილები—ევროპაში.

(შემდეგი იქნება).

ტელეგრამმები.

(ტფილისში მიღებული)

პეტერბურგი, 26 დეკემბერს, 12 საათს, 34 მინ. დღისით.

პეტერბურგი. ოფიციალურის წყაროდამ გვწერენ, რომ ოსმალეთი ბოსნიის საზღვარზე საომრად ემზადება და სერბიის საზღვრებზე ამზადებს საომარს იარაღებს.

პეტერბურგი, 27 დეკემბერს, 1 საათს ღამით.

კონსტანტინეპოლი, 26 დეკემბერსა. ფრანციის შუამდგომელობით ოსმალეთმა ნებართვა მისცა ტელეგრაფითა თავისს ელჩს პარიჟში. კონფერენცია გაიხსნება 28 დეკემბერს.

პეტერბურგი, 29 დეკემბერს, 1 საათს 50 მინ. ღამით.

პრუსსიის მმართებლობის გაზეთი „ჩრდილო—ბერმანიის გაზეთი“ ამტკიცებს, რომ გრაფი ბეისტის პოლიტიკამ უნდა დაარღვიოსო დამოკიდებულებ, ავსტრიასა და პრუსსიას შორის.

წიგნი „დროების“ რედაქტორს

უფ. რედაქტორო.

როდესაც „ცისკარში“ ვიყავი თანამშრომელი მე ვხმაროობდი ფსევდონიმს „თავხედი“. დღეს ვილასაც სხვას დაუწყია ამ ფსევდონიმით „ცისკარში წერა; ამისგამო გთხოვთ თქვენს გაზეთში გამოაცხადოთ, რომ ის ფსევდონიმი მე არა ვარ, არც ის სტატიებია ჩემი დაწერილი, არც თანაუგრძნობ ამ სტატიებსა და ვერცარავინ წაიკითხავს „ცისკარში“ ჩემს სტატიებსა.

იმედი მაქვს უფ. „ცისკრის“ რედაქტორი და გამომცემი გადაბეჭდავს თავის ჟურნალში ამ მოკლე განცხადებას.

ანტონ ფურცელაძე.

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

ისყიდება მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში

ჩოლგური.

ლექსების კრება

ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძისა ა. წერეთლისა და სხვა მწერლების, გამოცემული კ. ლორთქიფანიძისაგან.

ფასი ერთი მანეთი.

[1]) Древность человѣческаго рода, Шлейдена стр. 9—15. Геологич. очерки Кавказа, Щуровскаго Русс. Вѣстн. февр. 1862.

[1]) Древность человѣч. рода, Шлейдена, стр. 15—19.

[2]) Наука о языкѣ, Макса Мюллера. 1865, стр. 191, 201, 202.

[3]) Наука о языкѣ Макса Мюллера, стр. 19.

[4]) Тамъ же, стр. 19, 20.

[1]) Тамъ же, стр. 301—303.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го января, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.